**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს**
**კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის**
**მინისტრი**

44

---

# ბრძანება

№3/125

„30“ 05 2007 წ. ქ. თბილისი


-2038845
№11
საქართველოს ... სამინისტრო
„01“ „06“ 07
040 030 000 22.028.010.402


### საჯარო სამართლის იურიდიული პირის –ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის რეორგანიზაციისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 56-ე მუხლის თანახმდ:

1. საშუალო პროფესიული სახელოვნებო საგანმანათლებო დაწესებულება - „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი“ რეორგანიზირებულ იქნეს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებად;
2. დამტკიცდეს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანოთლებლო დაწესებულება– „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის“ თანდართული წესდება.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 16 მაისის №3/149 ბრძანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის წესდების დამტკიცების შესახებ.“
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი ბ; გაბაშვილი


შემოსვლის № 160/05
„5“ 06 2007 წ.

დამტკიცებულია
საქართველოს კულტურის, ძეგლთა
დაცვისა და სპორტის მინისტრის
2007 წლის 30 მაისის
№ 3/125 ბრძანებით

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის

## წ ე ს დ ე ბ ა

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი (შემდგომში - სასაწავლებელი) წარმოადგენს, „ზოგადი განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად შექმნილ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს სრულ სკოლისგარეშე სახელოვნებო საშუალო საბალეტო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე.

2. სასწავლებელი შექმნილია და ფუნქციონირებს საშუალო პროფესილი სახელოვნებო საგანმანათლო დაწესებულება – ს.ს.ი.პ- ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის ბაზაზე და წარმოადგენს მის უფლებამონაცვლეს.

3. სასწავლებელი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუცის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

4. სასწავლებელს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, საანგარიშწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

5. სასწავლებელი საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

6. სასწავლებლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქუჩა №49.

### მუხლი 2
### სასწავლებლის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის საგანი

1. სასწავლებლის მიზანია აღზარდოს მოსწავლეები ქართული და მსოფლიო საბალეტო ხელოვნების კლასიკური მემკვიდრეობის საუკეთესო ტრადიციებზე, გამოუმუშაოს სასცენო კულტურა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები, მისცეს მათ შესაბმისი განათლება და მოამზადოს შემსრულებლები პროფესიული საბალეტო დასებისთვის, მუსიკალური თეატრებისა და ანსამბლებისთვის.

2. სასწავლებლის ამოცანებია:

ა) მჭიდრო შემოქმედებითი კავშირის დამყარება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან;

ბ) საკონცერტო და საგასტროლო საქმიანობის განხორციელება;

გ) საშემსრულებლო ხელოვნების სწავლების მეთოდების სრულყოფა;

დ) მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის შრომისა და სწავლის სათანადო პირობების შექმნა; 46

3. სასწავლებლის საქმიანობის საგანია:
ა) სასწავლო პროცესის აქტივიზაცია და მოდერნიზაცია;
ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება-განვითარება;
გ) მართვის თანამედროვე პრინციპების განხორციელება და სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა;
დ) პედაგოგთა და დამხმარე სასწავლო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება;
ე) დამატებითი საფინანსო სახსრების მოზიდვა;

## *მუხლი 3*
## სასწავლებლის უფლება-მოვალეობანი

თავისი მთავარი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სასწავლებელს უფლება აქვს:
ა) წარმართოს თავისი საქმიანობა კულტურის სფეროში სახელმწიფო დაკვეთისა და ერთიანი სახელმწიფო ფინანსური ნორმატივების შესაბამისად;
ბ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს ფასიანი სწავლების ფორმები და გადასახდელი თანხის ოდენობა;
გ) განსაზღვროს საქმიანობის (შემოქმედებითი, საგანმანათლებლო, ორგანიზაციული, ეკონომიკური და სხვა) პრიორიტეტები;
დ) განახორციელოს სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამები მათ შორის სახელმწიფო დაკვეთით.
ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს გარიგებანი, აგრეთვე განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებანი, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებთან;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობა (მაგრამ არსებითად არ უნდა გადავიდეს სამეწარმეო საქმიანობაზე), ამ საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი მოახმაროს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მის მუშაკთა სოციალურ დაცვას, შრომის ეკონომიკურ სტიმულირებას, აგრეთვე სასწავლებლის წესდებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნათა დაკმაყოფილებას;
ზ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს სასწავლებლის შინაგანაწესი, განსაზღვროს სასწავლებელში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება და ოდენობა, სამუშაო დროისა და დასვენების ხანგრძლივობა დადგენილი წესით;
თ) საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთნ შეთანხმებით გახსნას თავის სტრუქტურაში შემავალი ინტერნატი და ფილიალები და ხელი შეუწყოს მათ ფუნქციონირებას;
ი) განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, აგრეთვე სასწავლებლის წესდების შესაბამისად.

## მუხლი 4
## სასწავლებლის მართვა

1. სასწავლებლის მართვის ორგანოებია:
ა) ადმინისტრაცია (დირექტორი, მოადგილე(ები);

ბ) პედაგოგიური საბჭო;

2. სასწავლებლის მართვას ახორციელებს დირექტორი, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით.

3. დირექტორი:

ა) წარმართავს სასწავლებლის ორგანიზაციულ, ფინანსურ, სამეურნეო და ადმინისტრაციულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობაზე;

ბ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სასწავლებელს და სასწავლებლის სახელით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელს აწერს საბანკო დოკუმენტებს, ბანკებში ხსნის და აუქმებს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დებს ხელშეკრულებებს (მათ შორის შრომის ხელშეკრულებებს), გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სასწავლებლის ყველა თანამშრომლისა და მოსწავლისთვის; უფლებამოსილია დანიშნოს რწმუნებულები და გასცეს მინდობილობები.

გ) სასწავლებლის წლიურ ბალანსს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს;

დ) სამხატვრო ხელმძღვანელთან შეთანხმებით ამტკიცებს პედაგოგთა დატვირთვის ოდენობას;

ე) პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს სასწავლო გეგმებში ცვლილებებისა და ახალი სპეციალობების დამატების შესახებ;

ვ) ითანხმებს სასწავლებელთან არსებული №46-ე საჯარო სკოლის სასწავლო ცხრილს, სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასწავლებლის სასწავლო გეგმასა და სასწავლო ცხრილს;

ზ) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასწავლებლის საშტატო ნუსხასა და ხელფასის ფონდს;

თ) პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის საფუძველზე ამტკიცებს სასწავლებლის შინაგანაწესს (შინაგანაწესში აისახება: სასწავლებელში მიღების, სწავლების წლებზე გადაყვანა-დატოვებისა და გარიცხვის პირობები; სასწავლო პროცესში მონაწილე პირთა პასუხისმგებლობა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობა და სხვ) და აკონტროლებს მის დაცვას;

ი) ხელმძღვანელობს პედაგოგიურ საბჭოს;

კ) პასუხისმგებელია სასწავლებლის მთელ საქმიანობაზე.

4. სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელს, რომელიც უნდა იყოს სპეციალური საბალეტო განათლების, შემოქმედებითი და სასცენო გამოცდილების მქონე პირი, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი.

5. სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი:

ა) პასუხისმგებელია მოსწავლეთა დაოსტატებაზე, პროფესიული მომზადების დონესა და სასწავლო პრაქტიკაზე;

ბ) უზრუნველყოფს საშემსრულებლო - სასცენო ოსტატობის მაღალ დონეს;

გ) უზრუნველყოფს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების სასწავლებლში მოზიდვას;

დ) ხელმძღვანელობს სასწავლო, შემოქმედებითი და მეთოდური გაერთიანებების მუშაობას;

6. სასწავლებლში კანონმდებლობით დადგენილი წესით იქმნება პედაგოგიური საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის სასწავლებლის ყველა პედაგოგი; პედაგოგიური საბჭოს მუშაობის რეგლამენტი და ფუნქციები განისაზღვრება სასწავლებლის დებულებითა შინაგანაწესით. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს სასწავლებლის დირექტორი.

7. პედაგოგიური საბჭო:

ა) დირექტორის წარდგინებით იხილავს სასწავლო გეგმებში ცვლილებებისა და ახალი დამატებების თაობაზე წინადადებებს;

ბ) სასწავლებლის დირექტოთან ერთად იხილავს სასწავლებლის სასწავლო გეგმასა, სასწავლო ცხრილსა და შინაგანაწესის პროექტს;

8. პედაგოგიური საბჭოს სხოდმაზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

## მუხლი 5. სასწავლო პროცესი

1. სასწავლებელში სწავლების ენა არის ქართული.
2. სასწავლებელში სწავლება მიმდინარეობს როგორც უფასო (სახელმწიფო დაკვეთა), ასევე ფასიანი სწავლების ფორმით.
3. სასწავლებელში მისღებ კონტინგენტს ამტკიცებს დამკვეთი. სასწავლებელში. დაშვებულია კონტინგენტის კორექტირება (შევსება, დამატება და/ან განთესვა, როგორც ფასიან აგრეთვე ძირითად (უფასო) ჯგუფებიდან.
4. სასწავლებელში სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მსვლელობის საკითხები განსაზღვრულია სასწავლებლის შინაგანაწესით.
5. სასწავლებელში მიიღებიან საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეები.
6. სასწავლებელი ახორციელებს ხუთ წლიან საბაზო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა სკოლისგარეშე სახელოვნებო საბაზო სახელოვნებო განათლების მოწმობა და სამ წლიან სკოლისგარეშე სახელოვნებო პროფილურ სახელონებო საგანმანთლებლო პროგრამას (ბალეტის მსახიობი, და სახასიათო ქრთულ–ხალხური ცეკვის სახიობი), რომლის დასრულებისასაც გაიცემა მოწმობა (სერთიფიატი).

## მუხლი 6. სასწავლებლის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. დასახული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად სასწავლებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გადაეცემა შესაბამისი ქონება.

2 სასწავლებლის დაფინანსების წყაროებია:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;

გ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ე) კანონმდებლობით ნებართული დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

3. ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ სასწავლებლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას; სასწავლებლის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

4. სასწავლებელი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს;

5. სასწავლებლის წლიურ ბალანსს ამოწმებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

## მუხლი 7. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. სასწავლებელს შეუძლია მხოლოდ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები სასწავლებლის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედება საჭიროებს შეთანხმებას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან.

4. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს უარი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

## მუხლი 8. სახელმწიფო კონტროლი

1. სასწავლებლის სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს სასწავლებლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. სასწავლებლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

## მუხლი 9. სასწავლებლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სასწავლებლის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ახორციელებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო:

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

## მუხლი 10. სასწავლებლის წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

სასწავლებლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საქართველოს**
**კულტურისა და ძეგლთა დაცვის**
**მინისტრი**

# ბრძანება

„15“ 06 2012 წ. №3/201

ქ. თბილისი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის რეორგანიზაციისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 30 მაისის №3/125 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის რეორგანიზაციისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 30 მაისის №3/125 ბრძანებით (სსმ III, №78, 04.06.2007, 040.030.000.22.028.010.402) დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის წესდების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სასწავლებელი ახორციელებს ხუთწლიან საბაზო სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა სკოლისგარეშე სახელოვნებო საბაზო განათლების მოწმობა და სამწლიან სკოლისგარეშე პროფილურ სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამას (ბალეტის მსახიობი, ქორეოგრაფიული ხელოვნებისა და თეატრის მსახიობი), რომლის დასრულებისას გაიცემა მოწმობა (სერტიფიკატი).“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი ნიკოლოზ რურუა

MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA 203851126

შემოსვლის № 23/05
„15“ 06 2012 წ.

ვამტკიცებ

სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის
საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო
სასწავლებლის დირექტორი

----------------------------------------

60

## სსიპ - ვ. ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის ფასიანი სწავლების შესახებ

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სასწავლებელი ფასიან სწავლებასთან დაკავშირებულ საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების, პედსაბჭოს რეკომენდაციებისა და სასწავლებლის დირექტორის ბრძანებების საფუძველზე.

სასწავლებელში ფასიანი სწავლება დაშვებულია:

- მოსამზადებელ ჯგუფებზე /6-9 წლის ასაკის ბავშვებისათვის, შეესაბამება საჯარო სკოლის 1 - 4 კლასებს/;
- სწავლების პირველი წლიდან სწავლების მეხუთე წლის ჩათვლით;

ფასიან და უფასო სწავლებაზე მოსწავლეთა მისაღები გამოცდების ინსტრუქცია და ტურების ფორმები იდენტურია.

სასწავლებელში ფასიანი სწავლებაზე მოსწავლეთა მშობლებსა და სასწავლებელს შორის გაფორმდება ხელშეკრულება.

სასწავლებლის ფასიანი სწავლების სექტორზე ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებიც გაივლიან მისაღებ შესარჩევ ტურს (სამი ტური), მაგრამ ვერ დააგროვებენ საკმარის შეფასებას და გადაიხდიან სწავლების საფასურს დადგენილი ფორმითა და ოდენობით.

სასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების მთელი პერიოდისათვის სპეც. საგნებში მოსწავლეთა მიერ ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით დასაშვებია მათი მოძრაობა ფასიანიდან უფასო და უფასოდან ფასიან სექტორებზე სასწავლებლის დირექტორის ბრძანებისა და საგამოცდო კომისიის საფუძველზე.

ფასიანი სწავლების ფორმაზე შემოსული თანხების ხარჯვა ხორციელდება სასწავლებლის მიერ შედგენილ ( პედსაბჭოზე განხილულ) და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

ფასიანი სწავლების სექტორის მოსწავლეებს მოსამზადებელი კურსის დამთავრების შემდეგ აქვთ შესაძლებლობა საკონკურსო წესით ჩააბარონ მისაღები გამოცდები სასწავლებლის სწავლების პირველ წელზე, ხოლო სწავლების მეხუთე წლის დამთავრების შემდეგ – გადავიდნენ სწავლების მეექვსე წელზე შესარჩევი (განხრების შესაბამისად) კონკურსის საფუძველზე.